



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №10

2014 წლის 28 თებერვალი

ქ. ლანჩხუთი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით მოწვეულ იქნას აუდიტორი. შემოწმების პერიოდი განისაზღვროს 2013 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01 იანვრამდე.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა (ზ. ურუშაძე) უზრუნველყოს აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით შესყიდვის პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ამირან გიგინეიშვილი